# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM



## ძვირფასო თეთრიწყაროელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი თეთრიწყაროს მერობის კანდიდატისა და თეთრიწყაროს საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს თეთრიწყაროს განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს თეთრიწყარო და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 7,5 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 21,7 მლნ ლარია, იზრდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – თუ 2013 წელს თეთრიწყაროს ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 2 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის გეგმის მიხედვით, საპროგნოზო მაჩვენებელი 11,2 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში,** 2015-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამით **„დანერგე მომავალი“** 221 ჰექტარზე განხორციელდა 62 პროექტი (ჯამურად 2 111 064 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, 546 ჰექტარი დაიზღვა (მოსავლის ღირებულება 1 617 810 ლარი), რითაც 169 ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებისთვის სტიქიით მიყენებული ზარალი 71 221 ლარით ანაზღაურდა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისთვის მოქმედებს 9 კოოპერატივი (71 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 50 490 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 28 471 390 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 3 504 636 ლარი), რითაც 249-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** დაფინანსდა 3 პროექტი (ჯამურად 38 532 ლარი, თანადაფინანსება 15 413 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა,** რომლის ფარგლებშიც შესყიდულია 632 868 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 296 434 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა ახალი სახელმწიფო პროგრამები: **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 2 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 283 653 ლარი, თანადაფინანსება 219 372 ლარი), **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** განხორციელდა 1 პროექტი (3 271 ლარი, თანადაფინანსება 1 636 ლარი), **სოფლის განვითარების პროგრამით,** 2020 წლიდან 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 5 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 5 ხელშეკრულება (851 533 ლარი, სააგენტოს თანადაფინანსება – 648 758 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, 553 067 ლარი დაიხარჯა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 163 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია (თურქულის, ჯილეხის, ბრუცელოზის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის, ცოფის საწინააღმდეგოდ), ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;
- ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 824 821 ლარის გრანტი გაიცა, განხორციელდა 1 031 552 ლარის ინვესტიცია, ჯამურად დაფინანსდა 99 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 57, ახალი „სტარტაპის“ – მხარდასაჭერად 42 პროექტი).

- მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;
- წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა.

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.** ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა

ასურეთის ქუჩების რეაბილიტაცია



იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

**ქვემო ქართლის რეგიონში, 2012-2021 წლებში, ექსპლოატაციაში შევიდა:** 5 ჰიდროელექტროსადგური (პანტიანიჰესი, კაზრეთიჰესი, დებედაჰესი, მარნეულიჰესი, ორო ჰესი). სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 9 მეგავატია, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 7 მლნ აშშ დოლარი. ასევე, ექსპლოატაციაში შევიდა 2 თბოელექტროსადგური (გარდაბნის თბოსადგური, გარდაბნის თბოსადგური 2) ჯამური დადგმული სიმძლავრით 461 მეგავატი, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 410 მლნ აშშ დოლარი. **მშენებლობის ეტაპზეა** ხრამი ჰესი (1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 1,13 მგვტ); ჯანდარა ჰესი (1,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 0,25 მგვტ); დუმან მაშავერა-ჰესი – სავარაუდოდ 2 712 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 1,96 მგვტ). **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა** შემდეგი ენერგეტიკული პროექტები: ყიზილაჯლო ჰესი (5,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,10 მგვტ); მტკვარი კასკადი 4 (136 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 78,10 მგვტ); ხრამი ჰესი 3 (41 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 16,07 მგვტ); ხრამი ჰესი 4 (40 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 14,97 მგვტ); ხრამი ჰესი 5 (50 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 19,89 მგვტ); ქვემო ოროზმან ჰესი (1,3 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,63 მგვტ); მაშავერა ჰესი 3 (8 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,20 მგვტ); მაშავერა ჰესი 2 (8 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,02 მგვტ); ზემო ყარაბულახი ჰესი (1 960 000 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 1,03 მგვტ); ნახიდური ჰესი (16 მლნ. აშშ დოლარი დადგმ.სიმძლავრე 9 მგვტ); ხრამი 7 ჰესი (10,5 მლნ აშშ დოლარი დადგმ.სიმძლავრე 3 მგვტ); **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა ქარის ელექტროსადგურების პროექტები:** „პირველი 1 ქარის ელ.სადგური“ (62 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 30,00 მგვტ); „სააკაძე ქარის ელ.სადგური“ (28 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 15,00 მგვტ); მარტყოფის ქარის ელ.სადგური (69 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 50 მგვტ); სამგორის ქარის ელ.სადგური (4 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე – 8 მგვტ); „გარდაბნის ბიო-თბოელექტროსადგური“ (1,5 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 3,00 მგვტ).

**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში,** 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 1 835 აბონენტი. ამ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს 2 სოფელში (ცხრაკუდაანი, ალგეთი), რითაც ბუნებრივი აირით დამატებით 110 აბონენტი ისარგებლებს. ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2022-2024 წლებში, იგეგმება 11 სოფლის (აბელიანი, ჩხიკვთა, ტბისი, ქივჭავი (ადმინსტრაციული ერთეული), დიდი თონეთი, ღოლოვანი, ორბეთი, ახალი ზირბითი, პატარა თონეთი, დიდგორი, ახალი პანთიანი) გაზიფიცირება. შედაგად დამატებით 1282 აბონენტს ექნება ბუნებრივ აირზე წვდომა. 2013-2017 წლებში, 2 870 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**



თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის გაზიფიცირების სამწლიანი პროექტი

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი. „ღვინის გზის“ პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი. თეთრიწყაროში განხორციელდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციების მონტაჟი, საინფორმაციო საორიენტაციო შინაარსის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და ინფორმაცია ახლომდებარე ტურისტული ადგილების შესახებ; მარკირება გაუკეთდა სალაშქრო ბილიკებს.

**ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით თეთრიწყაროში განხორციელდა:** დაბა მანგლისის ტყე-პარკის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; არსებული ტურისტული მარშრუტებისა და ინფრასტრუქტურის მარკირება; ტურისტული ობიექტებისთვის საინფორმაციო დაფების მონტაჟი; ბირთვისის მისასვლელთან საინფორმაციო ბანერისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2017-2019 წლებში აშენდა ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრი (1 257 720.33 ლარი). 2018-2019 წლებში მოეწყო თოკების პარკი (268 000 ლარი).

- „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;
- 2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაიწყო **ტყის ინვენტარიზაცია,** მომზადდება ტყის მართვის 10 წლიანი გეგმა. 2013-2020 წლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ადგილობრივ მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 75 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 386 კუბური მეტრი ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება.**

- სამომავლოდ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;
- გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);
- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, თეთრიწყაროში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 21 მლნ ლარამდე დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 ხიდს. **სტიქიით დაზიანებული** ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ 3,6 მილიონი ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში თეთრიწყაროს **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 15 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 268 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, თეთრიწყაროს **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარება, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 4 მილიონ ლარზე მეტით დაფინანსდა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, დამატებით 60 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. **თეთრიწყაროში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი წყალმომარაგების პროექტები:** დაბა მანგლისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (11 264 316 ლარი), 15 სოფლის (მაწევანი, გოლთეთი, წინწყარო, დიდი დურნუკი, პატარა დურნუკი, ქოთიში, ხაიში, ქოსალარი, ტბისი, ფარცხისი, საღრაშენი, არდისუბანი, ენაგეთი, შავსაყდარი და ასურეთი) წყალმომარაგების სისტემის მოწყობა (48 699 999 ლარი); ქ.თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის პროექტირება/მშენებლობა (14 881 000 ლარი).

## 2021-2022 წლებისთვის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ენაგეთის სკოლასთან მისასვლელი გზა – 377 669 ლ;
- სოფ. აბელიანისა და ხოპისის მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია – 1 000 000 ლ;
- სოფ.გოლთეთში მისასვლელი და შიდა ს/გზების რეაბილიტაცია – 1 264 177 ლ;
- დაბა მანგლისში, იოანე მანგლელის ქ. და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა – 1 052 632 ლ;
- ქ. თეთრიწყაროში თამარ მეფის ქ. №19 კორპუსის ფასადის (პარკთან) და ფარნავაზის ქ. №1 კორპუსის ფასადი (ბაზართან) რეაბილიტაცია – 186 865 ლ;
- ქ. თეთრიწყაროში რუსთაველის ქ. №2 (პოლიციასთან) კორპუსის რეაბილიტაცია – 220 140 ლ;
- ქ. თეთრიწყაროში, კოსტავას ქ. №9-ში მდებარე კორპუსის (მზრუნველობას მოკლებულთა სასადილო) ფასადის რეაბილიტაცია – 78 785 ლ;
- სოფ. მუხათში (ე.წ. ფაბრიკის დასახლებაში) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 206 406,63 ლ;
- სოფ. საღრაშენში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 60 235,86 ლ;
- სოფ. ერტისში გზის რეაბილიტაცია – 600 859,56 ლ;
- სოფ. ქივჭავის სასმელი წყლის შიდაქსელის მოწყობის სამუშაოები – 150 000 ლ;
- დაბა მანგლისში, ბადალაშვილისა და მარაბდის ქუჩებს შორის არსებულ სკვერში გარეგანათების მოწყობის სამუშაოები – 30 000 ლ;
- ქ. თეთრიწყაროსა და სოფ. წინწყაროში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია – 80 000 ლ;
- ქ. თეთრიწყაროში, თამარ მეფის №4 შენობის მიმდებარედ არსებული კედლის დემონტაჟი და ახლის მოწყობა – 40 000 ლ;
- ქ. თეთრიწყაროში თამარ მეფის ქუჩა №12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია – 44 477 ლ;
- სოფ.ჯორჯიაშვილისა და ბოგვის შიდაქუჩების მოხრეშვა – 220 000 ლ;
- ქ. თეთრიწყაროში, „ვარხუნოს დასახლებაში“ სასაფლაოსთან მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია – 225 774 ლ.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# გიორგი წიკლაური: „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის წინსვლისთვის ყველაფერს გავაკეთებ!“

**თეთრიწყაროს მერობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ გიორგი წიკლაური, მუნიციპალიტეტში დაბადებულ-გაზრდილია. აქ მის ოჯახსაც კარგად იცნობენ. კანდიდატი, წლების განმავლობაში მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. მიმდინარე წლის ივნისიდან კი, თეთრიწყაროს მერის მოადგილედ დაინიშნა. ამბობს, რომ ამ თანამდებობაზე ყოფნისას, დეტალურად გაეცნო მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებულ, დაწყებულ თუ დაგეგმილ პროექტებს; ამბობს იმასაც, რომ ამ მცირე დროში, თეთრიწყაროელების საჭიროებებიც უკეთ დაინახა და აქ არსებული გამოწვევებიც. მერის თანამდებობისთვის სწორედ იმ მიზნით იბრძვის, რომ გამოწვევების საპასუხოდ, გუნდთან ერთად, მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელოს. გამარჯვებაში დარწმუნებული გიორგი წიკლაური გვიამბობს, როგორი ბავშვობა გაატარა მუნიციპალიტეტში, რატომ დადგა „ქართული ოცნების“ გვერდით და რა გეგმები აქვს მშობლიურ, საყვარელ თეთრიწყაროსთან დაკავშირებით.**



დაიბადა დაბა მანგლისში. განათლებით ისტორიკოსია. დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სწავლობდა საქართველოს უშიშროების აკადემიაში, ასევე დამთავრებული აქვს, თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა-ინსტიტუტი, სპეციალობით – ფინანსები და კრედიტები.

25 წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სხვადასხვა დანაყოფში, ხელმძღვანელ პოზიციებზე, ბოლნისისა და დმანისის, ასევე წალკა-თეთრიწყაროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სამსახურის უფროსად.

2021 წლის 18 ივნისს დაინიშნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

– თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისში, ჩვეულებრივ, ტრადიციულ ოჯახში დავიბადე. მამა, უშანგი წიკლაური, რომელსაც მანგლისში თენგიზის სახელით იცნობდნენ, განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. უზომოდ კეთილი და მშობლიურ მხარეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი იყო. წამით არ ტოვებდა საკუთარ მხარეს და ყველაფერს აკეთებდა სხვების დასახმარებლად. მამა იუმორის საოცარი გრძნობითაც გამოირჩეოდა. დედამ, მერი ქავთარაძემ, მთელი ცხოვრება არა მხოლოდ საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების, არამედ მუნიციპალიტეტისა და დედაქალაქის არაერთი ბავშვის აღზრდას მიუძღვნა – პროფესიით პედაგოგი, 48 წლის განმავლობაში, ჯერ სოფელ შეხვეტილაში, შემდეგ კი თბილისის №82 საჯარო სკოლაში ასწავლიდა. დედა საოცარი სიმშვიდითა და კეთილშობილებით გამოირჩეოდა. შვილებისგან მხოლოდ იმას მოითხოვდა, კაცთმოყვარეები, ზრდილები ვყოფილიყავით და კარგად გვესწავლა. ორი ძმა მყავს. ლევანი აფხაზეთის ომის ვეტერანი გახლავთ. 19 წლის ასაკში გამოსცადა ომის სისასტიკე და საკუთარი მიწა-წყლისა და ერის ღირსების დასაცავად მუდამ სამშობლოს სადარაჯოზე დგას. 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც, როგორც ვეტერანი, მოწინავე რიგებში იყო და მოსახლეობას ეხმარებოდა – მოქალაქეები უსაფრთხო ადგილებზე გადაჰყავდა. ლევანი ამჟამად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მანგლისის მაჟორიტარი დეპუტატია და თუ კვლავ ექნება მოსახლეობის მხარდაჭერა, სიამოვნებით გააგრძელებს საყვარელი ხალხის სამსახურში ყოფნას. უმცროსი ძმა დავითი კი, სამართლიანობის განსაკუთრებული გრძნობით გამოირჩევა. ცხოვრების უმეტეს დროს დაბა მანგლისში ატარებს. დავითი ასაკოვან მშობლებს საოჯახო საქმეებში მუდმივად ეხმარება. დღეს, ყველაზე დიდი სიამოვნებით, მანგლისში გატარებულ ბავშვობის ბედნიერ, მშობლებთან, ძმებსა და ბავშვობის მეგობრებთან ერთად გატარებულ წლებს ვიხსენებ. ჩემი მხარე უზომოდ მიყვარს და თეთრიწყაროს ყველა კუთხე ოჯახის წევრებთან ერთად ფეხით მაქვს შემოვლილი. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „ისტორიის დიდი წყარო“. ბავშობიდან მოყოლებული, ყოველთვის გვსურდა, ისტორიული და კულტურული ძეგლებით მდიდარი მშობლიური კუთხე მოგვენახულებინა და „აღმოგვეჩინა“. უკონფლიქტო და მშვიდი ბავშვი ვიყავი. განსაკუთრებით მაბედნიერებდა სკოლის არდადეგებზე საყვარელ სოფელში, შეხვეტილაში ბებოსა და პაპასთან ყოფნა. პაპას ვეხმარებოდი, მასთან ერთად მენახირედაც დავდიოდი, მისგან საოცარ ისტორიებს ვისმენდი... და უზომოდ მწყდებოდა გული, როცა არდადეგების დასასრული ახლოვდებოდა. შეხვეტილას დატოვება არ მინდოდა, თორემ სკოლაც მიყვარდა. კარგი მოსწავლე ვიყავი... განსაკუთრებით მიყვარდა ისტორია, მაგრამ დღემდე ვერ ვხვდები, რატომ ვსწავლობდი ქიმიასა და ფიზიკას (იცინის). გამოგიტყდებით, ბავშვობაში ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი და დღემდე მახსოვს ის ემოცია, როცა მშობლებმა, ველოსიპედი და ბურთი მიყიდეს. ისე, რაღაც ეტაპზე, რაიკომის მდივნობაც მინდოდა.

**– მაგრამ არც ფეხბურთელი გახდით და არც რაიკომის მდივანი. წლების განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მუშაობდით. დღეს ამ სისტემის მუშაობით კმაყოფილი ხართ?**

– დიახ, 25 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სხვადასხვა დანაყოფში, ხელმძღვანელ პოზიციებზე ვიმუშავე. სხვადასხვა დროს ვიყავი ბოლნისისა და დმანისის, ასევე წალკისა და თეთრიწყაროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სამსახურის უფროსი. პროფესიის არჩევისას მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საიდუმლო სამსახურების მიმართ ინტერესმა. სხვათა შორის, თავიდან, ჯარში წასვლამდე, ძრავის ხელოსნადაც ვიმუშავე... საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივად ზრუნავს მოქალაქეებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, რომ ქვეყნის თავისუფლებასთან ერთად, თითოეული მოქალაქის უფლება და თავისუფლება იყოს დაცული. ამას კი, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რის გამოც, თავის დროზე, ამ გუნდის წევრი გავხდი და დღემდე მისი ერთგული ვარ.

**– ივნისიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეც ხართ, დღეს კი, მერობისთვის იბრძვით. თეთრიწყაროს მერობა რატომ გადაწყვიტეთ?**

– მერის მოადგილის თანამდებობა 2021 წლის 18 ივნისს დავიკავე. უდიდესი პასუხისმგებლობის განცდა მქონდა. სხვათა შორის, სამწუხაროდ ამ განცდას, იმავე დღეს მამის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი დაერთო... მიუხედავად ამ ტრაგედიისა, ვეცადე საქმეს მაქსიმალურად მობილიზებული და უდიდესი პასუხისმგებლობით შევდგომოდი. ამ ორი თვის განმავლობაში, თეთრიწყაროში განხორციელებულ, დაწყებულ თუ დაგეგმილ პროექტებს დეტალურად გავეცანი; თუმცა, ერთი შეხედვითაც მკაფიოდ ჩანს, რომ გასული წლების განმავლობაში, მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი რამ გაკეთდა. თეთრიწყარო ნამდვილად შეიცვალა. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ამ პროცესებში მოქმედი მერის, გიორგი ქორიძის აქტიური ჩართულობა. მინდა, მეც შევიტანო წვლილი ჩემი მუნიციპალიტეტის განვითარებასა და უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებაში. მიხარია, რომ გუნდმა მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად დამასახელა. ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო ქვეყანასა და მშობლიურ მხარეს. ვიყო თეთრიწყაროს მერი,





პირველ რიგში, უდიდესი პასუხისმგებლობაა. ვფიქრობ, ეს სერიოზული გამოწვევაა, რაც აუცილებლად უნდა მიმეღო.

**– ამბობთ, რომ თეთრიწყაროში განხორციელებულ თუ დაგეგმილ პროექტებს დეტალურად გაეცანით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი რომელია?**

– მთავრობის სამწლიანი გეგმის ფარგლებში, 2019-2020 წლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავალებით, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ დაბა მანგლისის გაზიფიცირების „საუკუნის პროექტი“ განახორციელა. პროექტის ღირებულება 11 163 418 ათასი ლარია და შედეგად, ბუნებრივი აირით, 1600 აბონენტი ისარგებლებს. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო პროექტი, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ქალაქ თეთრიწყაროში, მუნიციპალიტეტის 15 სოფელსა და დაბა მანგლისში, წყალმომარაგების სისტემის სრულ რეაბილიტაციას განახორციელებს. უპრეცენდენტო პროექტია პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა – „განახლებული რეგიონები“, რომლის ფარგლებშიც, ქვეყნის 63 მუნიციპალიტეტში, მათ შორის თეთრიწყაროშიც მოხდება კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია, რეკრეაციული სივრცეების მოწყობა. მნიშვნელოვანია, რომ მოხდება ქალაქ თეთრიწყაროს ცენტრალური, თამარ მეფის ქუჩის, ურბანული განახლება, განაშენიანება, რეაბილიტაცია. აღდგება და მოეწყობა ქუჩაზე გამწვანების თარგები, განახლდება გარეგანათება, რეაბილიტირდება შენობების ფასადები, მოწესრიგდება სანიაღვრეები, ტროტუარები, ღობეები, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის მიმზიდველობას და გაზრდის ვიზიტორთა რაოდენობას. გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები ეს ყოველივე გამოიწვევს რეგიონის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

**– ამ ფონზე, რეგიონის განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე, თქვენთვის პრიორიტეტი რა მიმართულება იქნება?**

– რეგიონის ეკონომიკური გაძლიერება დამოკიდებულია შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე. ამ მიმართულებით, როგორც მოგახსენეთ, მნიშვნელოვანი სიახლეები გვაქვს და ეს ჩემი პრიორიტეტიც იქნება. ვფიქრობ, მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობით უნდა დავიწყოთ, რადგან სწორედ ამ სფეროს განვითარება, გაძლიერება შეუწყობს ხელს რეგიონში გაჩნდეს ბევრი ეკონომიკურად ძლიერი სოფელი. პარალელურად, სასიკეთო ცვლილებები მინდა განვახორციელო შიდა ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ.

**– განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მიუხედავად, ალბათ თეთრიწყაროში არაერთი გამოწვევა დღემდე რჩება. რა საჭიროებები აქვთ მუნიციპალიტეტის მკვიდრებს და მათ რას ჰპირდებით?**

- გამოწვევა, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრია. მერის მოადგილედ მუშაობის პერიოდში ნათლად დავინახე ყველა ის საჭიროება, რასაც ჩვენი მოსახლეობა აწყდება. სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა სოფლებში დღემდე დგას. მისასვლელი და შიდაგზები მოსაწესრიგებელია. მნიშვნელოვანია ასევე საბავშვო ბაღებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა, რეაბილიტაცია. თეთრიწყაროელებს ვპირდები, ყოველთვის ვიქნები მათ გვერდით, მოვუსმენ და გეგმებს, მათთან ერთად დავსახავ. ჩვენ – მერი, ხელისუფლება და ხალხი, ერთად, თეთრიწყაროსთვის არაერთ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ. პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა გავერთიანდეთ ერთი მიზნისთვის – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის წინსვლისთვის!

**– ფიქრობთ, ამის საშუალება მოგეცემათ? 2 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მოსახლეობა მხარს თქვენ და „ქართულ ოცნებას“ დაგიჭერთ?**

– რა თქმა უნდა. „ქართული ოცნების“ გუნდს საზოგადოებაში ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს. საქართველოს ყოველი მეორე მოქალაქე ჩვენი მხარდამჭერია. მხარდაჭერას პირადად მეც ვგრძნობ. ვფიქრობ, წინასაარჩევნო კამპანიის დროს არ გამიჭირდება დავუმტკიცო ხალხს, რომ კონკურენტ კანდიდატებთან შედარებით, აშკარა უპირატესობა მაქვს. საქმეზე საუბრით, ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების მკაფიო გეგმების შეთავაზებით, ყველაფერს გავაკეთებ, რომ კიდევ უფრო დიდი ნდობა მოვიპოვო მშობლიურ კუთხეში.

**– ეთნიკური მრავალფეროვნებით გამორჩეულ მუნიციპალიტეტში, ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერის იმედიც გაქვთ?**

– ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან ძალიან თბილი დამოკიდებულება მაქვს. განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით გამოირჩევიან აზერბაიჯანელი მწყემსები. ხშირად, მათთან ერთად, მთაში, რამდენიმე კვირის განმავლობაში დავრჩენილვარ. შევეცადე, ელემენტარულ დონეზე მაინც მესწავლა აზერბაიჯანული და სომხური ენები. მათთან ხშირი კომუნიკაცია მაქვს. ბევრი მეგობარი მყავს და დიახ, მათი მხარდაჭერის იმედიც მაქვს.

## გიორგი წიკლაურის 25-წლიანი სიყვარულის ისტორია, უცნაური „წინასწარმეტყველება“, „მამას ოცნების ქალი“ და „საამაყო ვაჟი“

წლების წინ, მაია ცალუღელაშვილის ოჯახმა ბინა შეიცვალა. ახალმობინადრეებს კორპუსის მაცხოვრებლები დიდი ინტერესით ელოდნენ. ერთ დილას, სამსახურში მიმავალს, მეზობელი გამოელაპარაკა - გაეცნო და იქვე მყოფი რამდენიმე მეზობელიც გააცნო. მათ შორის იყო გიორგი წიკლაური, რომელსაც ეზოში პატარა ძმისშვილი ჰყავდა ჩაყვანილი სასეირნოდ. სამსახურში ეჩქარებოდა და ახალ მეზობლებთან მხოლოდ 10-15 წუთით შეყოვნდა. როცა საუბარი ოჯახს შეეხო, გიორგიმ თქვა, სამი ძმანი ვართ, ძმისშვილიც ბიჭია, ყოველთვის მინდოდა და მყოლოდა, ასე არ მოხდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალში, პირველი შვილი გოგო იქნება და მარიამს დავარქმევო. „ეს ნათქვამი სასაცილოდ მომეჩვენა, მაგრამ ისეთი ლაღი იყო, ისე გულახდილად საუბრობდა ჩემი თანდასწრებით, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. უცნაური შეგრძნება იყო - მისი პიროვნული ღირსებებით მაშინვე მოვიხიბლე და მის მიმართ დადებითად განვეწყე. მის გულწრფელობაში რიდიც იგრძნობოდა და ზოგადად, ქალისა და ოჯახის პატივისცემა, სიყვარულიც“, - ასე იხსენებს ქალბატონი მაია გიორგი წიკლაურთან პირველ შეხვედრას.

მაშინ ვერც წარმოიდგენდა, რომ ამ ლაღი, ზრდილი, გულწრფელობით გამორჩეული ახალგაზრდის ცოლი გახდებოდა. ქალბატონი მაია ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ მისი და გიორგის პირველი საუბარი, რომელიც თავის დროზე სასაცილოდ მოეჩვენა, ზედმიწევნით ახდებოდა - პირველი შვილი გოგონა შეეძინათ. ცხადია, მარიამი დაარქვეს, რომელსაც კანდიდატი დღემდე „მამას ოცნების ქალს“ ეძახის. მარიამი უკვე 24 წლისაა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია. ბედნიერ წყვილს ვაჟიც ჰყავს - 20 წლის ავთანდილი, რომელიც საავიაციო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტია.

ოჯახი გაცნობიდან 3 წლის შემდეგ შექმნეს. ამ სამ წელში ბევრი რამ იყო, რასაც წყვილი დღემდე სიამოვნებით იხსენებს - ემოციების ქაღალდზე გადმოცემა და „ნამდვილი წერილების“ წერა, აჩრდილივით კუდში დევნა, ვითომ შემთხვევით შეხვედრები, საყვარელი ადამიანის დადევნებისას სწრაფი სირბილის გამო ძაღლის გამოკიდება და მისი კბილებით გამოგლეჯილი შარვალი, საერთო სადარბაზოში შესრულებული სერენადები... გასახსენებელი თანაცხოვრების არასრულ 26 წელშიც ბევრია. იშვიათად შეხვდებით წყვილს, რომელიც წლების შემდეგ ასე თამამად იტყვის ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე წინა დღეზე უკეთესიაო. ამ წლების განმავლობაში, არც ერთი შვებულება ერთმანეთის გარეშე არ გაუტარებიათ, არც ერთი გადაწყვეტილება ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე არ მიუღიათ. ცხადია, იყო სირთულეებიც, მაგრამ ყოველთვის, ყველა მათგანი ერთად, ღირსეულად გადალახეს. ამაში კი, ყველაზე მეტად, ოჯახის თავკაცის პიროვნული თვისებები და ხასიათი ეხმარებოდათ. „კეთილი, თბილი, მოსიყვარულე, მეოჯახე, ერთგული“, - ასეთია ოჯახის წევრების თვალით დანახული გიორგი წიკლაური. ფიქრობთ, ისინი სუბიექტურები არიან? თუ ასეა, თანამშრომლებისა და რიგითი ნაცნობების თვალით დანახულ გიორგი წიკლაურსაც გაგაცნობთ: „კეთილი, პატიოსანი, კომუნიკაბელური, გულწრფელი, იუმორის საოცარი გრძნობით, უშუალო, ლიდერი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პრობლემების მოგვარებისას, შეუძლია ერთდროულად გადაწყვიტოს რამოდენიმე ამოცანა. მუდამ მზად არის ახალი იდეების განსახორციელებლად. გაურკვეველ მდგომარეობაშიც კი ავლენს სიმტკიცეს. ყოველთვის მზადაა, დაეხმაროს ადამიანებს“.

ოჯახში ერთმანეთის არჩევანს პატივს სცემენ. განსაკუთრებულ პატივისცემას კი, ბატონი გიორგის გადაწყვეტილებების მიმართ იჩენენ. მიზეზი ისაა, რომ იციან - აქვს უნარი, ზუსტად განსაზღვროს ვითარება, გააკეთოს ანალიზი, შეაფასოს რისკები და სწორად დასახოს გეგმები. პატივისცემით შეხვდნენ მიღებულ გადაწყვეტილებასაც - გახდეს თეთრიწყაროს მერი. ოჯახისთავს მხარს უჭერენ და გვერდით უდგანან. დარწმუნებულები არიან, რომ გიორგი წიკლაურს, სამშობლოსა და საყვარელი თეთრიწყაროსთვის ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. იმაშიც დარწმუნებულები არიან, რომ ამისთვის კანდიდატი თავს არ დაზოგავს. საამისო მიზეზი ბევრი აქვს: უსაზღვროდ უყვარს თეთრიწყარო, მამის საყვარელი მხარის განვითარებაში წვლილის შეტანით მის ხსოვნასაც მიაგებს პატივს და იმასაც აუცილებლად მიაღწევს, რომ წლების შემდეგ, „მამას საოცნებო ქალსა“ და „საამაყო ვაჟკაცს“, გიორგი წიკლაურის სახელი, წინ დახვდეთ!



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**



**2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.**

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილი 25 388 476 ლარით დაფინანსდა 39 927 შემთხვევა. მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (89558,5 ლარით 65 483 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (738 644 ლარით 21 306 მეტი შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (17 342 360 ლარით 11 546 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (3 484 331 ლარით 3 356 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (8 989 150 ლარით 1 708 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (854 637 ლარით 1 576 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), 2017-2021 წლებში, პროგრამით, თეთრიწყაროში დაფინანსდა 3118 ბენეფიციარი (117 265 ლ).

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი, **თეთრიწყაროში,** 2019 წელს, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი იყო 97,2%. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **თეთრიწყაროში,** სტაციონარული მკურნალობით 77-მა (323 417 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 835-მა პაციენტმა (95 236 ლარი) ისარგებლა.

**დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წ.წ., მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისი 2 552-მა ორსულმა მიიღო (142 090 ლარი), მედიკამენტები – 512-მა.



თეთრიწყაროს სასწრაფო დახმარებას ჯიპის ტიპის სპეცმანქანა გადაეცა

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 339 პირი (68 530 ლარი).

2012 წლის შემდეგ, **თეთრიწყაროს** მოსახლეობისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდა სამედიცინო მომსახურების **დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში** (ფსიქიკური ჯანმრთელობა, დიაბეტის მართვა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რეფერალური მომსახურების პროგრამები).

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს 40 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ვაშლოვნის ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში: ვაშლოვანი (17 973 ლ), კოდა (31 066 ლ), ბორბალო (28 368 ლ), ორბეთი (25 043 ლ), ხაიში (13 549,2 ლ), ალექსეევკა (9 690 ლ); ქ. თეთრწყაროში სასწრაფო-სამედიცინო დახმარები შენობის მშენებლობა – 259 547 ლ; დაბა მანგლისში, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა– 269 000 ლარი; ქ. თეთრიწყაროში, ფარნავაზ მეფის ქ., რეაბილიტაცია, ჭაბურღილისა და სარინელის მოწყობა, სარდაფის დასუფთავება (196 289 ლარი).

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება 2-ჯერ გაიზარდა, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები კი – 70,5 ათასიდან 138,7 ათას ლარამდე.**

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება, მშობიარეთა დახმარება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პროგრამები.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ.) 4474 პირია. 2012 წლის შემდეგ, პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2,3-ჯერ – 5 294 240-დან 12 210 968 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 76 855 608 ლარი დაიხარჯა. 2013 წლიდან დაზუსტდა **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. თეთრიწყაროში, კომპენსაციის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 80 პირი. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,6-ჯერ – 109 516 ლარიდან 507 525 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, სულ 3 656 082 ლარი შეადგინა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვა შემწეობები. **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2 228 ოჯახია (1.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 4,9-ჯერ – 1 009 ათასიდან 4 981 ათას ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 27 370 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 7858 ათასი, შშმ პირებზე – 1 581 ათასი, ბავშვებზე – 10 220 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – თეთრიწყაროში სოციალური პაკეტით სარგებლობს 791 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,8-ჯერ – 181 479-დან 1 231 059 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 7 863 729 ლარი. **მუნიციპალიტეტში 1334 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ, შემწეობებზე გაწეული ხარჯი 325 108-დან 740 700 ლარამდე გაიზარდა და 2013-2021 წლებში სულ 5 992 641 ლარი დაიხარჯა. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 469 ოჯახი, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 57 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 412 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. საქართველოს მასშტაბით, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) თეთრიწყაროში დაფინანსებულია 106 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 767 700 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 172 300 ლარი.



**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტზე – 1 385 615 ლარი. ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). პროგრამაში, 2020 წელს, თეთრიწყაროში, ჩართული იყო 602 ოჯახი, 2021 წელს – 689. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, თეთრიწყაროში, 2020 წელს ისარგებლა 308-მა ოჯახმა, 2021 წ.(ივნისის მონაც) – 336-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), თეთრიწყაროში, 2020 წ. პროგრამაში ჩაერთო 176 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომ.) – 175.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები 465,5 ათასიდან 777,1 ათას ლარამდე გაიზარდა.**

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრამები, მათ შორის, მარჩენალდაკარგულ პირთა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დახმარება, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება, ხანდაზმულთა დახმარება - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.


თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთში სკოლამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

თეთრწყაროში ფუნქციონირებს 16 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (2 – ქ. თეთრიწყაროში, 1 – დაბა მანგლისში, 13 კი – სოფლად). **ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრში** 700 აღსაზრდელი, 44 აღმზრდელ-პედაგოგი და 44 აღმზრდელი ირიცხება.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** გაიზარდა თეთრიწყაროში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს მუნიციპალიტეტის განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 1,9 მილიონი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს – 400 ათასი ლარი იყო.

**2015-2021 წლებში, განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის,** ქ. თეთრიწყაროს №1 და №2, დაბა მანგლისის (ჯამში 48,3 ათასი ლარი), სოფლების – ჯორჯიაშვილის, ხაიშის, წინწყაროს, გოლთეთის, ბორბალოს (სულ 86,8 ათასი ლარი) საბავშვო ბაღებში, კოდისა და ირაგის საბავშვო ბაღებში შეიცვალა წყლის, წყალარინების და ელექტროენერგიის ქსელი, მოეწყო სველი წერტილები და ცენტრალური გათბობის სისტემა, ასევე ჩატარდა სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები (205,6 ათასი ლარი);

**2016 წელს დაიწყო და 2017 წელს დასრულდა** ასურეთისა (366,7 ათასი ლარი) და სამღერეთის (399,5 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების მშენებლობა და ეზოების კეთილმოწყობა (ჯამურად 1 მლნ 46 ათასი ლარი). მოეწყო ცენტრალური გათბობის სისტემებიც (63 ათასი ლარი); მომზადდა სოფელ ფარცხისში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის (743,4 ათასი ლარი), ქივჭავში ბაღის რეაბილიტაციისა (175 ათასი ლარი) და მარაბდის (195 ათასი ლარი) ბაღის გაფართოება/ეზოს კეთილმოწყობის პროექტები. **ცენტრალური გათბობის სისტემები მოეწყო მუნიციპალიტეტის 12 საბავშვო ბაღში. 2018 წლის** დასაწყისიდან სრული დატვირთვით ამოქმედდა ასურეთისა და სამღერეთის საბავშვო ბაღები; **2019 წელს** სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა მარაბდის საბავშვო ბაღს (128, 8 ათასი ლარი); **2020 წელს** დასრულდა სოფელ ქივჭავის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები – 174, 9 ათასი ლარი;

**2021 წელს** რეგიონული განვითარების ფონდიდან სოფელ ჯორჯიაშვილში განხორციელდა საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რაზეც 536 ათასი ლარი დაიხარჯა; 16 საბავშვო ბაღში, სტანდარტის შესაბამისად, გაზქურები შეიცვალა ახალი ელექტროქურებით; დაბა მანგლისის საბავშვო ბაღი მოეწყო ახალი ავეჯით. განხორციელდა სო-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ფელ ქივჭავის ბაღის რეაბილიტაცია და მოეწყო ავეჯით. ასევე განხორციელდა თეთრიწყაროს №2, გოლთეთისა და მარაბდის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია – სამივე ბაღში და მარაბდის საბავშვო სახლში შეძენილია ახალი ავეჯი.

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, თეთრიწყაროს საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 474-დან 710-მდე გაიზარდა. ასევე 0, 65-დან 2,74 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი.

**სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 16 საბავშვო ბაღში, სადაც 224 ბავშვია. დასაქმებულია 44 **აღმზრდელ-პედაგოგი**, მათგან 17 – სასკოლო მზაობის ჯგუფებში. საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილია **ექიმისა და ფსიქოლოგის მომსახურებით. ხორციელდება აღსაზრდელთა ტრანსპორტირების პროგრამა.**

## ზოგადი განათლება

**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 28 საჯარო სკოლა (აქედან ქალაქში – 2, დაბაში – 1, სოფლად – 25), სადაც 2992 მოსწავლე, 495 მასწავლებელი და 12 სპეციალური მასწავლებელია.** მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, იდენტიფიცირებულია 30 სსსმ მოსწავლე. არაქართულენოვან სკოლებში დასაქმებულია ქართულის, როგორც მეორე ენის, 7 კონსულტანტ-მასწავლებელი. 5 სკოლაში – 10 მანდატური.

**ზოგადი განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, თეთრიწყაროში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის:**

პროგრამაში **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“** საზაფხულო სკოლებში, 2017-2019 წლებში, 119 მოსწავლე მონაწილეობდა; 2013-2020 წლებში, **„სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის“** პროგრამით განხორციელდა 63 სასკოლო პროექტი, 2017-2019 წლებში, დაფინანსდა 17 პროექტი. **„ახალი სკოლის მოდელით“** 2019 წელს, სოფ. ხაიშის საჯარო სკოლას გადაეცა 19 კომპიტერი. **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით,** 2019 წ. 20 კომპიუტერი გადაეცა 3 სკოლას. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** თეთრიწყაროს საჯარო სკოლების აღჭურვის 9 და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 52 პროექტი განხორციელდა. **ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 13 საჯარო სკოლის (27 მიმართულება) 523 მოსწავლე. 2017-2020 წლებში, სკოლებში უსასყიდლოდ დარიგდა **961 სასკოლო ჟურნალი და** 70 125 **სახელმძღვანელო**. 2019-2019 წლებში, **თეთრიწყაროს** საჯარო სკოლებში, ჯამში, 21 **ოქროს და 11 ვერცხლისმედალოსანი** გამოვლინდა. 2014-2019 წლებში, **სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით** აღჭურვის 37 პროექტი განხორციელდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგმოდულები.

2013-2021 წლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით: **2013 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საჯარო სკოლას, რაზეც სულ 714,5 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს – 5 საჯარო სკოლას** დაიხარჯა სულ 635,2 ათასი ლარი, აშენდა სოფელ სამღერეთის საჯარო სკოლა, რაზეც 2 მლნ 209,6 ათასი ლარი დაიხარჯა; **2015 წელს** განხორციელდა 6 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, 2 საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი, რაც, ჯამურად, 278 ათასი ლარით დაფინანსდა; **2016 წელს** სოფელ მარაბდის საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი – 21,6 ათასი ლარი.**2017-2018 წლებში,** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საჯარო სკოლას; **2019 წელს** განხორციელდა ქ. თეთრიწყაროსა და მუნიციპალიტეტის სიფლებში სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის მოეწყო სტანდარტებთან შესაბამისი სველი წერტილები. **2016-2019 წლებში, მუნიციპალიტეტის სკოლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის მიზნით,** 2 საჯარო სკოლას გადაეცა სასკოლო დაფა, 6 საჯარო სკოლას – კომპიუტერული ტექნიკა, **ახალი სკოლის მოდელი** დანერგილია 2 საჯარო სკოლაში; მუნიციპალიტეტში 7 **ადაპტირებული სკოლაა;** ცენტრალური გათბობის სისტემა მოწყობილია 16 სკოლაში; **ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა** ხორციელდება 2 საჯარო სკოლაში: სოფელ ჯვარაში – 1 მლნ 600 ათასი ლარი; სოფელ საღრაშენში – 1 მლნ 600 ათასი ლარი;

**რეგიონული განვითარების ფონდმა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მშენებლობის 3 და სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალი პროექტი დააფინანსა, კერძოდ:** სოფელ ენაგეთის (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, 60 მოსწავლეზე გათვლილი) საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა – 1 მლნ 59 ათასი ლარი; სოფელ საღრაშენში (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით 60 მოსწავლეზე გათვლილი) საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა – 1 მლნ 43 ათასი ლარი; სოფელ ჯვარაში (60 მოსწავლეზე გათვლილი) საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა – 1 მლნ 87 ათასი ლარი; **მიმდინარეობს** სველი წერტილების მოწყობა სოფელ კოდის საჯარო სკოლაში (90,2 ათასი ლარი);

**მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს** სოფლების: გოლთეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 2 მლნ 450 ათასი ლარი; დიდგორის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 2 მლნ 351,2 ათასი ლარი; ჩხიკვთას, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, 60 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა – 1 მლნ 82,6 ათასი ლარი;

## პროფესიული განათლება

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ხელმისაწვდომია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ერთი პროგრამა, რომელსაც ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი ახორციელებს.

## უმაღლესი განათლება

**უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით,** 2018 წლიდან სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს ქვემო ქართლის რეგიონის (ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული და წალკა) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 ს/წელს ქვემო ქართლის რეგიონიდან დაფინანსდა 27 სტუდენტი. 2019-2020 ს/წელს – 27 სტუდენტი, 2020-2021 ს/წელს – 27 სტუდენტი.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- სისტემური ცვლილებები ყველასთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უზრუნველმყოფი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ხელი შეეწყობა ხელმისაწვდომობის ზრდას ხარისხიან, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე;
- საჯარო დაწესებულებებში **ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;**
- **გაიზრდება მუნიციპალიტეტის** მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების **დაფინანსება;**
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია (მათ შორის, რეაბილიტაცია ჩაუტარდება შემდეგ საბავშვო ბაღებს ქ. თეთრიწყაროს (№1 – 620 ათასი ლარი; №2 – 180 ათასი ლარი) სოფ. ორბეთის, სოფ. გოლთეთის საბავშვო ბაღებს, რაზეც სულ 2 მლნ. 199,4 ათასი ლარი დაიხარჯება. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება:
- მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაგეგმილია: სოფელ ფარცხისში 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა – ღირებულება 3 მლნ 450 ათასი ლარი; სოფელ წინწყაროში, 180 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღის მშენებლობა – ღირებულება 3 მლნ 450 ათასი ლარი.
- იგეგმება სოფ. ჯორჯიაშვილის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და სოფ. ორბეთში ბაღის გახსნა;
- მნიშვნელოვნად **გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, განხორციელდება თეთრიწყაროში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლისმიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, 2019-2022 წლებში, იგეგმება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის 13 პროექტი (4 მლნ 205 ათასი ლარი);
- საჯარო სკოლების რეაბილიტაცია ჩატარდება მუნიციპალიტეტის სოფლებში: ასურეთი, აბელიანი, ორბეთი, ირაგა, მანგლისი; გათბობის სისტემები მოეწყობა სოფელ გოლთეთისა და ალექსეევკას საჯარო სკოლებში; ქ. თეთრიწყარო №2 სკოლაში მოეწყობა ცენტრალური გათბობის სისტემა – 102 ათასი ლარი სველი წერტილები მოეწყობა კოდისა (96 ათასი ლარი) და ქოსალარის (70 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში;
- 2020-2021 წლებში (მგფ-ს დაფინანსებით) დაგეგმილია ახალი სკოლის მშენებლობა სოფელ ფარცხისში – 160 ათასი ლარი; სკოლის სრული რეაბილიტაცია სოფელ დიდგორში – 1 მლნ 200 ათასი ლარი; სკოლის სრული გამაგრება-რეაბილიტაცია სოფელ გოლთეთში – 1 მლნ 100 ათასი ლარი;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულება** აა(ი)პ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“, რომელიც აერთიანებს თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს (დაცულია 11 ათასამდე ექსპონატი) 8 ბიბლიოთეკას, (ქ. თეთრიწყარო და ბიბლიოთეკები სოფლებში: ქივჭავი, მანგლისი კოდა, წინწყარო, ჯორჯიაშვილი, ასურეთი და ბორბალო), სახელოვნებო სკოლას, თეთრიწყაროს სამუსიკო სკოლას, მანგლისის სამუსიკო სკოლას.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივები 353,2 ათასი ლარიდან 830 ათასი ლარამდე გაიზარდა;**

2014-2021 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა **საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში**: გაიზარდა მუზეუმის დამთვალიერებელთა და ბიბლიოთეკებით მოსარგებლეთა რაოდენობა, ტარდებოდა ბიბლიოთეკის კვირეული, კონცერტები, იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, სემინარები, დისკუსიები, შეხვედრები მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან, ეწყობოდა მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

2015 წლიდან, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, მიმდინარეობს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კოდის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში**, დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სახელოვნებო წრეების (თექა, კერამიკა, ხატვა, ქსოვა, ხალხური საკრავები) ფუნქციონირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო-სახელოვნებო აქტივობების განხორციელებას.

**2014-2021 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** ქ. თეთრიწყაროში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის საკანალიზაციო ქსელისა და სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია (16,6 ათასი ლარი); დაბა მანგლისში ყოფილი კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია (46,7 ათასი ლარი). სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, გამოიცვალა ფიტარეთის ეკლესიის სახურავი (51 ათასი ლარი); მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანამშრომლებს ტრენინგები ჩაუტარდა;

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, 2017 წელს,** განხორციელდა დიდგორის მემორიალური კომპლექსისა (115,8 ათასი ლარი) და მასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

**2017-2018 წლებში**, სოფელ ასურეთში, სტალინის ქუჩაზე, განხორციელდა XIX საუკუნის გერმანული მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების ეკლესიის, რამდენიმე საცხოვრებელი სახლისა და სასაფლაოს სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოები (2 მლნ ლარი);

**2018 წელს,** განხორციელდა სოფელ ალექსეევკაში (დრინეთი) წმ. ივლიტასა და კვირიკეს სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია (12, 8 ათასი ლარი); ფიტარეთის ტაძრის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი (48, 1 ათასი ლარი); თრიალეთის ბერძნული ძეგლების ინვენტარიზაცია (2 ათასი ლარი); საბიბლიოთეკო გაერთიანების შენობაში მოეწყო სველი წერტილები (8,9 ათასი ლარი);

**2019-2020 წლებში** ასოციაცია „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG)-ს გრანტით, გარემონტდა თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის ადმინისტრაციული შენობის ნულოვანი სართული (60 000 ევრო), ამჟამად მიმდინარეობს მუზეუმის შენობის რემონტი (60 000 ევრო); ასევე მიმდინარეობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია (საგამოფენო დარბაზების კოსმეტიკური რემონტი, კარ-ფანჯრის შეცვლა/განახლება), რაშიც 340 ათასი ლარი დაიხარჯება, სახელოვნებო სკოლის ოთახების რეაბილიტაცია 390 ათასი ლარით დაფინანსდება;

**კულტურის სამინისტრომ მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში თეთრიწყაროში შემდეგი პროექტები განახორციელა:** სსიპ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტები თეთრიწყაროსა და რუსთავში (24 ათასი ლარი);

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული **გერმანული კულტურული მემკვიდრეობის კვლევა-ინვენტარიზაცია** – საველე და სააღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება თანდართული რუკებით, სამეცნიერო-კვლევითი და გერმანული კულტურის არქიტექტურული ობიექტებით თეთრწყაროში, წალკაში, მარნეულში, დმანისში (42,4 ათასი ლარი).

**2017 წელს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა სოფელ ასურეთის მახლობლად მდებარე გერმანულ ღვინის მარანს.**



2017 წელს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა სოფელ ასურეთის მახლობლად მდებარე გერმანულ ღვინის მარანს.

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები **„უძველესი ცივილიზაციების კვალდაკვალ“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 9,825 ლარი), **„მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხა და შესწავლა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 19750) და **„ციხესიმაგრეები-მომავლის მცველები”** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 16 218 ლარი).

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს ფარავს **„გერმანული დასახლებების მარშრუტი“,** რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

**ასევე განხორციელდა:** თრიალეთის ბერძნული ძეგლების ინვენტარიზაცია, სოფ. ქვემო ახალშენში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი და ეკლესიის გაწმენდა; ფიტარეთის ტაძრის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (III ეტაპი) – 69,4 ათასი ლარი; სოფელ საფუძვრების, სამშვილდის, გოხნარის არქეოლოგია;

მომზადდა სოფ. ქვემო ახალშენის ისტორიული ნამოსახლარის წინასაპროექტო დოკუმენტაცია;

**2020 წელი** – სამშვილდის ნაქალაქარის, ქვემო ახალშენის ისტორიული ნამოსახლარის არქეოლოგია; ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის (გუმბათი) ქვის კონსერვაციის სამუშაოები (100 ათასი ლარი); ფიტარეთის ტაძრის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები;

## სპორტი

**თეთრიწყაროში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული აა(ი)პ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“.**

2014 წლიდან გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. თუ 2013 წელს სპორტის სფეროს ხარჯები 111,6 ათასი ლარი იყო, 2020 წელს – 300 ათასი ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია: კარატე, ფეხბურთი, კრივი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, ძიუდო, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი და გრეპლინგი. აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები: მუნიციპალიტეტის სპორტსმენები წარმატებით მონაწილეობდნენ შიდა და გასვლით ტურნირებსა და ჩემპიონატებში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოიპოვებდნენ საქართველოს, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონისა და პრიზიორის ტიტულებს.

2018 – 2021 წლებში გაიმართა სპორტული ღონისძიებები, რომელიც მიეძღვნა ევროპის სპორტის კვირეულსა და საერთაშორისო დღეს „სპორტი მშვიდობისა და განვითარებისათვის”.

**2013-2021 წლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი განხორციელდა, მათ შორის:**

**2013 წელს,** სოფლის პროგრამის ფარგლებში, სოფელ მუხათში ეტაპობრივად მოეწყო მინისტადიონი ხელოვნური საფარით – 11,6 ათასი ლარი და 2014 წელს – 15 ათასი ლარი;

**2015 წელს,** თეთრიწყაროს ფაბრიკის დასახლებაში მოეწყო მინისტადიონი ბუნებრივი საფარით; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხელოვნურსაფარიან ფეხბურთის მინიმოედანს ქ. თეთრიწყაროში (24 ათასი ლარი);

**2016 წელს** ქ. თეთრიწყაროში განხორციელდა მინისტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (33,8 ათასი ლარი).

**2018 წელს** მოეწყო ახალი კომბინირებული მოედანი სოფელ ქივჭავში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ სტადიონს სოფელ გოლთეთში (76, 8 ათასი ლარი); ქ. თეთრიწყაროში („ნამტვრიანი“) მინი საფეხბურთო მოედანზე, ასფალტის ნაცვლად, მოეწყო ხელოვნური საფარი – 45,5 ათასი ლარი;

**2019 წელს** დასრულდა გოლთეთის მინი სტადიონის რეაბილიტაცია (მოეწყოხელოვნური საფარი), ხოლო სოფელ ქივჭავში აშენდა ახალი კომბინირებული სპორტული მოედანი (87 ათასი ლარი); დაბა მანგლისში, სკვერის მიმდებარედ, აშენდა ახალი კომბინირებული სპორტული მოედანი (38,7 ათასი ლარი);

**2020 წელს** სოფელ ფარცხისში, ქოთიშსა და ასურეთში მოეწყო სავარჯიშო ატრაქციონები (48 ათასი ლარი); ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის **(RDFG)-ის გრანტითა და დაფინანსებით** გარემონტდა და კეთილმოეწყო კრივის სპორტული დარბაზი (53 067 ლარი).

**2021 წელს მიმდინარეობს:** კულტურის და სპორტის ცენტრში სტანდარტების შესაბამისი კრივის დარბაზის გასახდელების, საშხაპეებისა და სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები (180 ათასი ლარი);

**ევროკავშირის გრანტით** ხორციელდება ე.წ. გარისის სტადიონის რეაბილიტაცია – სტადიონი დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და მოემსახურება სხვა-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

დასხვა ადგილობრივი დონის თამაშსა და წვრთნებს (355 ათასი ლარი);

სახელოვნებო სკოლაში, **ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით,** მიმდინარეობს სკოლისთვის დამატებითი საგამოფენო და სასწავლო ოთახების მოწყობა/რეაბილიტაცია, ასევე მოეწყო გარე პანდუსი-ლიფტი (390 ათასი ლარი);

2013-2016 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, **სპორტულმა ფედერაციებმა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში** 1 შიდაჩემპიონატი ( 2,3 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 უბნის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობაც დააფინანსა (დაიხარჯა – 13,2 ათასი ლარი).

2016-2017-2018 წლებში, სამინისტროს ორგანიზებითა და მერიის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ასევე, 2017-2018 წლებში, ჩატარდა ჩემპიონატი „სპორტი ბარიერების გარეშე“ რამდენიმე წელია წარმატებით ტარდება „კოკა-კოლას თასის“ ჩემპიონატი ფეხბურთში, სადაც საქართველოს მასშტაბით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სასკოლო გუნდმა II ადგილი დაიკავა. 2020 წელს მუნიციპალიტეტის სოფელ არგამის სპორტულ სკოლას სამინისტროს მიერ გადაეცა სპორტული ინვენტარი და ეკიპირება (4 ათასი ლარი).

**მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამით** მუნიციპალიტეტში **დასაქმებული 4 მწვრთნელი იღებს** ფულად დანამატს. ეს პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელის დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით,** მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელეს: **„ახალი მარაბდა“** (9,1 ათასი ლარი), **„ასურეთის ახალგაზრდობის სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის სამოქალაქო საწარმო“** (7,5 ათასი ლარი), პროექტი მიზნად ისახავდა სოფელ ასურეთში ახალგაზრდების დასაქმებასა და მათი თავისუფალი დროის ეფექტურად გამოყენებას; **„მწვანე ვაშლი“,** პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდული პლატფორმის, ახალგაზრდული სადისკუსიო სივრცისა და იმავდროულად, ავტორიტეტული, ობიექტური იმიჯის მქონე ბრენდის – ,,მწვანე ვაშლის'' შექმნას, **„კოჯორ-ასურეთის რეკრეაციული და ეკოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება“** (17,8 ათასი ლარი), პროექტი მიზნად ისახავდა კოჯორ-ასურეთის ზონის ეკოლოგიური და რეკრეაციული შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობას, შემდგომში ადგილობრივი ტერიტორიის სოციალური, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და ბალნეოლოგიური სფეროების გასავითარებლად.

ააიპ თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი – დამოუკიდებელი ააიპ ემსახურება ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობას, საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, მოხალისეობრივ და საგანმანათლებლო აქტივობებს (85,7 ათასი ლარი);

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება-ხელშეწყობა;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები: დაგეგმილია ფიტარეთის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის დასრულება – 298 ათასი ლარი; ქ. თეთრიწყაროში დაგეგმილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – ისტორიული წყაროსა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია-რესტავრაცია – 50 ათასი ლარი;
- 2022 წელს ქ. თეთრიწყაროში, ყოფილი კინოთეატრის ტერიტორიაზე, დაგეგმილია ახალი თანამედროვე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა დახურული დარბაზით **(1,8 მილიონი ლარი);**
- ქ. თეთრწყაროში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სახურავის რეაბილიტაცია – 65 ათასი ლარი;
- ქ. თეთრწყაროში კულტურის ცენტრის თეატრის დარბაზისა და სცენის რეაბილიტაცია – 130 ათასი ლარი;
- სოფელ ორბეთის ბიბლიოთეკის შენობის ოთახის რეაბილიტაცია – 50 ათასი ლარი;
- ფიტარეთის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 500 ათასი ლარი;
- თრიალეთის პეტროგლიფების მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობა – 250 ათასი ლარი;
- ქ. თეთრიწყაროში, ქალაქის ცენტრში მდებარე ყოფილი უნივერმაღის შენობის გამაგრება/რეაბილიტაცია, მასში მრავალფუნქციური ცენტრის მოწყობის მიზნით, სადაც განთავსდება საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები, ტურიზმის განვითარების ცენტრი, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, მეწარმეების ხელშემწყობი შოურუმი და ა.შ. – 3 მლნ 700 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია – დაგეგმილია ქ. თეთრიწყაროში ე.წ. გარისის სტადიონისა და სპორტკომპლექსის მშენებლობა-რეაბილიტაცია (1 მლნ ლარი);
- 2018-2022 წლებში, დაგეგმილია 7 ახალი კომბინირებული მოედნის მოწყობა 2 ქ. თეთრიწყაროსა და სოფლებში: მანგლისი, წინწყარო, ფარცხისი, ჩხიკვთა, ორბეთი – 371 ათასი ლარი;
- 2021-2022 წლებში დაგეგმილია მინისტადიონების მოწყობა სოფლებში: ირაგა (70 ათასი ლარი), აბელიანი (70 ათასი ლარი), წინწყარო (40 ათასი), ფარცხისი (80 ათასი ლარი), ჩხიკვთა (80 ათასი ლარი), ქოსალარი (80 ათასი ლარი); ერტისი – 60 ათასი ლარი;
- 2022 წელს სოფელ კოდაში რეაბილიტაცია ჩაუტარდება მინისტადიონს – 40 ათასი ლარი;
- 2020-2021 წლებში. ქ. თეთრიწყაროში მოეწყობა მცირე სპორტულ-გასართობი მოედნები საცხოვრებელი კორპუსების ეზოებში (100 ათასი ლარი);
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

# მართლწესრიგი

## დანაშაულის სტატისტიკა

**2017-2020 წლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, მძიმე (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:**

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წ.წ. კრიმინოგენური მდგომარეობა სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენული მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 27 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 16, ანუ 59%, რაც გახსნის საშუალო მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 6-8 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

## პრობაციონერთა სტატისტიკა

**2017-2020 წ.წ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.**

2017-2020 წ.წ.-ში მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა, წლების მიხედვით სტაბილურია და წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვანდ აღარ იზრდება; განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები, წლების მიხედვით, 10%-ს (2018 წელს) არ აღემატება; გასულ 2020 წელს, მხოლოდ 2 ასეთი შემთხვევა აღირიცხა, რაც პრობაციონერთა 3,2%-ს შეადგენს. ეს მეტყველებს, რომ მუნიციპალიტეტში კრიმინოგენული მდგომარეობა სტაბილურია.

მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ პრობაციის სააგენტო გეგმავს მუნიციპალიტეტში სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების ეფექტიან განხორციელაბას და ასევე, მსჯავრდებულთა ადგილზე დასაქმების აქტიურ ხელშეწყობას.

## თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ცენტრები

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო (მაგ. „ლიბერთი“ ბანკის, მაგთიკომის და სხვ.) მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიულ სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; ამავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის.

**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, 2013 წლის ივნისიდან მუშაობს ორი საზოგადოებრივი ცენტრი სოფელ კოდასა და დაბა მანგლისში, 2019 წლის ნოემბრიდან მათ დაემატა დაბა თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ცენტრი.**

**ცხ. 1 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.**

| მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|
| განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)<br>მათ შორის, გახსნილი | 1<br>0 | 2<br>2 | 0<br>0 | 1<br>1 |
| მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)<br>მათ შორის, გახსნილი | 2<br>2 | 1<br>1 | 3<br>3 | 4<br>2 |
| გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 2<br>0 | 1<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 1<br>0 | 2<br>0 | 3<br>3 | 0<br>0 |
| ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 2<br>0 | 0<br>0 | 2<br>2 |
| სულ<br>მათ შორის გახსნილი | 6<br>2 | 8<br>3 | 6<br>6 | 7<br>5 |

**ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში**

| პრობაციონერთა სტატისტიკა | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა | 58 | 40 | 56 | 62 |
| არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა | 1 | 0 | 0 | 0 |
| დანაშაულის რეციდივის შემთხვევები | 5 (8,6%) | 4 (10%) | 4 (7,1%) | 2 (3,2%) |
| სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |




# ჩემო ძვირფასებო!

ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ „ქართული ოცნების“ გუნდმა თეთრიწყაროს მერობის კანდიდატად დამასახელა და მომცა საშუალება, ჩემი ცოდნა და გამოცდილება მშობლიურ მხარეს მოვახმარო.

აქ დავიბადე და გავიზარდე, ბავშვობისა და ახალგაზრდობის საუკეთესო წლები თეთრიწყაროში გავატარე, შესაბამისად, ეს გამოწვევა აუცილებლად უნდა მიმეღო! მზად ვარ, თვითმმართველობის არჩევნებზე გამარჯვებისთვის თქვენთან ერთად ვიბრძოლო!

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი გამორჩეული ისტორიულ-კულტურული ძეგლებით მდიდარი მხარეა, რომლის თითოეული კუთხე-კუნჭული ფეხით მაქვს მოვლილი! განვლილმა წლებმა დამარწმუნა, რომ პატრიოტიზმი, სამშობლოს ერთგულება და სიყვარული გენეტიკურად მოგვდგამს.

მტკიცედ მწამს, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ჩვენს მუნიციპალიტეტში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, თქვენ ბევრად მეტს იმსახურებთ!

ვიცნობ იმ გამოწვევებს, რომელთა დაძლევა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩემს უკან „ქართული ოცნების“ ძლიერი გუნდი დგას და მათთან ერთად, თქვენი ჩართულობით, განვახორციელებთ იმ პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეობის განვითარებას, სოფლების ეკონომიკურ გაძლიერებასა და ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისებას.

მინდა, მოგმართოთ ჩემს თეთრიწყაროელებს, დროა, გავერთიანდეთ საერთო მიზნის ირგვლივ – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის წინსვლისთვის!

ღრმად მწამს, ძლიერი რეგიონები, ძლიერი საქართველოს საწინდარია, გამარჯვების შემდეგ კი, თქვენთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თეთრიწყარო თითით საჩვენებელი მუნიციპალიტეტი გახდეს!

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.